# ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრი» 2 წლისაა!

# მეთესველი



«...და შეკრიბა გუთნეული და თავს იდვა აღშენება ერისა და ქვეყნისა...» («ქართლის ცხოვრება»)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრი» №1. ივლისი. 2013 წელი

## აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრი» 2 წლისაა

აგროსერვისცენტრი 2011 წლის 7 ივლისს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ აჭარის მთავრობის მხარდაჭერითა და გაეროსა და ევროკავშირის დახმარებით შეიქმნა.

მიზანი რეგიონის აგროსექტორის განვითარებაში ახალი, უფრო ძლიერი და ქმედითი მუხტის შემოტანა იყო. საამისოდ აგროსერვისცენტრს დაეკისრა საინფორმაციო-საკონსულტაციო და საკოლექციო-სადემონსტრაციო სამეურნეო-საწარმოო მისია, ანუ, აგროსექტორის მშრომელთა სწავლებასთან ერთად, მან, პრაქტიკულად, უნდა აჩვენოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახლებურად განვითარების უპირატესობები, მემცენარეობასა და მეცხოველეობაში ახალი ტექნოლოგიებისა და ჯიშების მომგებიანობა, ამავდროულად აწარმოოს კიდეც ეს ჯიშები და მიაწოდოს მოსახლეობას.

მართალია, აგროსერვისცენტრი ჯერ კიდევ თვითდამკვიდრების ეტაპზეა, მაგრამ უკვე თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია. რაც მთავარია, განვლილმა ორმა წელმა დაადასტურა, რომ მისი შექმნა გამართლებულია და დიდი როლი უნდა შეასრულოს რეგიონის აგროსექტორის განვითარებაში. ამიტომაც გადაწყდა 2 წლის იუბილეს აღნიშვნა.

სწორედ ამის შესახებაა საუბარი გაზეთის ამ ნომერში.

## ვფიქრობთ, ჩვენი თანამშრომლობა წარმატებული იქნება

ასე განაცხადეს ბათუმში სტუმრობის და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში აგროპროექტის წარდგინების დროს გაეროს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ ინიტა პაულიჩმა, ევროკავშირის წარმომადგენლებმა რაიმონ რეიგადამ, ხუან ხოსე ეჩანოვემ და გიორგი ნანობაშვილმა. მათ ხაზი გაუსვეს, რომ აგროსექტორში ვითარების გაცნობის, აგროსერვისცენტრის საქმიანობის გაანალიზების და მეურნეობის დათვალიერების შემდეგ მიეცათ შესაძლებლობა, გაეკეთებინათ დადებითი დასკვნა. აქ ყველა შესაძლებლობა არსებობს, რომ აგროსერვისცენტრმა წარმატებით განახორციელოს ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი აგროპროექტი, რომელიც აჭარის აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს. პროექტი სამწლიანია. მისი ბიუჯეტი 3,3 მილიონი ევროა, რომელშიც აჭარის მთავრობა 300 ათასი ევროს თანადაფინანსებით მონაწილეობს.

- ჩვენ საქართველოსთან და კონკრეტულად აჭარასთან ამგვარი თანამშრომლობის კარგი გამოცდილება გვაქვს, - თქვეს მათ, - ვიცით აგროსექტორის მდგომარეობა, რა სჭირდება მის განვითარებას, საერთოდ ქართულ სოფელს, მის მოსახლეობას. ამ ძვირად ღირებული პროექტის განხორციელება გადაგვაწყვეტინა ქვეყანაში აგროსექტორის პრიორიტეტად გამოცხადებამ და ამ მხრივ რეალური, ეფექტური ნაბიჯების გადადგმამ. ასევე იმან, რომ დაინტერესებული ვართ მეზობელ ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობით, სოფლად უმუშევრობის და სიღარიბის დაძლევით. დაუსაქმებელი და ღარიბი ქართული სოფელი - ეს ხომ პარადოქსია თქვენს სინამდვილეში.

აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა, მას აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გარკვეულ ფარგლებში სამეურნეო დამოუკიდებლობა. ამიტომაც პირდაპირ, უშუალოდ ვთანამშრომლობთ მასთან.

ვიმედოვნებთ, რომ ამ პროექტის განხორციელებით, სამი წლის თავზე, აგროსერვისცენტრი რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების და აგრობიზნესის განვითარების მძლავრი ბაზა იქნება. ეს იქნება საფუძველი იმისა, რომ 2017 წლიდან ახალი პროექტის განხორციელება დავიწყოთ. ჩვენი თანამშრომლობაც, ვფიქრობ, კვლავ წარმატებული იქნება.

## აგროსექტორის განვითარებისათვის

**ზაურ ფუტკარაძე - აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი**



აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შესაბამისად, რეგიონში წარმართავს აგროსექტორის განვითარების სტრატეგიას, ძირითად მიმართულებებს, პრიორიტეტულ დარგებს მთისა და ბარის, მუნიციპალიტეტების და სოფლის მიხედვითაც კი. ასევე შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დამკვიდრებას სოფლად, აგრობიზნესის და გადასამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. ამ საქმიანობაში ა(ა) იპ აგროსერვისცენტრს ლომის წილი ეკისრება.

იგი 2011 წლის 7 ივლისს აჭარის მთავრობის მხარდაჭერითა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაეროს და ევროკავშირის ხელშეწყობით შეიქმნა. ეს საერთაშორისო ორგანიზაციები კვლავაც აგრძელებენ ტექნიკურ დახმარებას. განვლილმა ორმა წელმა დაადასტურა, რომ აგროსერვისცენტრის დაარსება სწორი და გამართლებული ნაბიჯი იყო. მთავარი მიზანი რეგიონის აგროსექტორის განვითარებაში უფრო ძლიერი მუხტის შემოტანა გახლდათ. ამ ორი წლის განმავლობაში აგროსერვისცენტრი თავადაც გაიზარდა და სერიოზული მუშაობაც გასწია მემცენარეობის, მეცხოველეობისა და ფერმერთა სწავლება-გადამზადების მიმართულებით. მას უნარიანად ხელმძღვანელობს ახალგაზრდა სპეციალისტი გოჩა ბერიძე. შევეცადეთ, იქ მაღალი პროფესიული კადრებისთვის მოგვეყარა თავი. ჰარმონიულად შეგვეთავსებინა ერთმანეთისათვის უფროსი და ახალგაზრდა თაობის შრომა. შედეგიც სახეზეა - აგროსერვისცენტრის საქმიანობა წარმატებულია.

ასეთ შეფასებას აკეთებენ გაეროსა და ევროკავშირის წარმომადგენლებიც. ასეთი აზრისაა აჭარის მთავრობაც. აგროსერვისცენტრის ციტრუსოვანთა, ხეხილის და ვაზის სანერგეებს ბევრი მომწონებელი ჰყავს. მსხვილფეხა - რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მიმართულებითაც თვალსაჩინო შედეგებია მოპოვებული. მიღებულია ჯიშობრივად გაუმჯობესებული პირუტყვის პირველი თაობა - 100-მდე ხბო. გადამზადებულია და ახალ ცოდნას ეზიარა ასობით ფერმერი.

ყოველივე ამან გაეროსა და ევროკავშირის მეტი დაინტერესება გამოიწვია, რომლებიც დიდ ეკონომიკურ პროექტებს ახორციელებენ საქართველოში. ახლახან მათი წარმომადგენლები ინიტა პაულოვიჩი, რაიმონ რეიგადა, ხუან ხოსე ეჩანოვი, გიორგი ნანობაშვილი და ლაშა კომახიძე გვეწვივნენ და 3 მილიონ ევროს ბიუჯეტიანი აგროპროექტი ჩამოგვიტანეს, რომელშიც აჭარის მთავრობა დამატებით 300 ათასი ევროს თანადაფინანსებით მონაწილეობს.მათ თან საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები დავით ნატროშვილი და დავით გოლიგაშვილი, ასევე პროექტის მენეჯერი ლაშა კომახიძე ახლდნენ.

სტუმრებმა ვითარების გაცნობის შემდეგ მოიწონეს აგროსერვისცენტრის მუშაობა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დღეისათვის ქვეყანაში ეს ერთადერთი საპილოტე აგროდაწესებულება, მაგალითად უნდა იქცეს სხვა რეგიონებისათვის. ამაში სამწლიანი, 3,3 მილიონ ევროიანი აგროპროექტის განხორციელებაც დიდ როლს შეასრულებს. ამ პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს აგროსერვისცენტრი რეგიონში გახდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და აგრობიზნესის განვითარების ძლიერი ბაზა. ასეთ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები გვპირდებიან, რომ 2017 წლიდან ახალი, კიდევ უფრო დიდი აგროპროექტით გვესტუმრებიან.

**საერთოდ, აჭარის ხელისუფლებას გაეროსთან, ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვს. მათი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან საქმიანი ურთიერთობა დიდად გვეხმარება საქმის წარმატებაში, ისინი ბევრი სიახლის და კარგი საქმეების შემომტანები და დანერგვის ინიციატორები არიან. უეჭველია, ამჯერადაც ასე იქნება. ზემოთ აღნიშნული პროექტი კვლავ ბევრი, თავისი მნიშვნელობით ახალი, უფრო ქმედითი ეტაპის დასაწყისია აგროსერვისცენტრის საქმიანობაში და სასიკეთო საქმეს ჩაუყრის საფუძველს, ჩვენს აგროსექტორში წინ წასწევს რეგიონის ეკონომიკას.**

დიახ, ამჯერადაც ეს პროექტი, აგროსერვისცენტრის მეშვეობით, მისი მუშაობის მიმართულებების შესაბამისად, მემცენარეობის, მეცხოველეობის და ფერმერთა სწავლების მიმართულებებით განხორციელდება. თანხის ნაწილი კი თავად სამინისტროს ინსტიტუციურ განვითარებას მოხმარდება.

ასე რომ, დაარსებიდან ორი წლისთავზე ნათელია, რომ აგროსერვისცენტრის არსებობა გამართლებულია. მისი საქმიანობა დღითიდღე ფასდება და მომავალში უფრო მეტს მოველით მისგან. ვულოცავთ კოლექტივს და ვუსურვებთ მართლაც სამაგალითო ყოფილიყოს არა მხოლოდ რეგიონში, ქვეყნის მასშტაბითაც.

## "We, believe that our collaboration will be successful"

Said Deputy Resident Representative of United Nations Development Program (UNDP) Inita Paulovicha, the representatives of EU Ramon Reigada, Juan -Jose Echanove and Giorgi Nanobashvili while presenting the Agro project in the Ministry of Agriculture of Ajara.

The representatives of delegation emphasized that after getting acquainted with the situation in agro sector, analyzing the activities done by "Agro Service Center" and visiting the nurseries of "Agro Service Center" they made the positive conclusions.

There are many opportunities for "Agro Service Center" to implement joint agro project of UNDP and EU in regard to the development of agriculture in the region. Project is made for three years and the budget line for it is 3.3 million Euros where 300 thousand is funded by the ministry of Ajara itself.

--We have the good experience of such collaboration with Georgia, in particular with Ajara region, the members of delegation mentioned. We got acquainted with the current situation in Georgian Agriculture. We know what is necessary for strengthening and developing agriculture in the villages. We are familiar with the needs of population as well. The real, effective steps made by the government of Georgia in regard to the development of agriculture and the announcement of agro sector as main priority persuaded us to implement such expensive project in Georgia. We are interested in assisting stability, reducing poverty and unemployment in the neighboring countries. Unemployed and poor Georgian villages are paradox in your reality.

Ajara is autonomous republic of Georgia, which has own Ministry of Agriculture and certain independence in regard to the agro sector and accordingly we directly cooperate with them.

We, believe that after implementing this project, "Agro Service Center" will have the strong base in regard to the development of agricultural enterprises and agro businesses. This collaboration will be the basis for us to start the new project from 2017. I'm sure our cooperation will be successful again.



# ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს

გოჩა ბერიძე -
ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრის» დირექტორი



აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა (ა)იპ აგროსერვისცენტრის შექმნიდან ორი წელი გავიდა. ეს ძალზე მცირე დროა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულების, მით უმეტეს სამეურნეო საწარმოს ფეხის მოსაკიდებლად და წელში გასამართავად. ბუნებრივია, ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში ვიმყოფებით. მაგრამ მთავარია, რომ მტკიცე საფუძველი ჩავყარეთ განვითარებისათვის. რეგიონში გვაქვს ქვეყანაში ერთადერთი აგროსერვისცენტრი, რომლის გამოცდილებაც ალბათ სხვა რეგიონებშიც გავრცელდება და ხელს შეუწყობს აგროსექტორის განვითარებას. ამიტომ აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენს წარმატებულ მუშაობას. ამ მიზნით შევეცადეთ, მოგვეზიდა ქართული სოფლის ჭეშმარიტი გულშემატკივარი, მაღალკვალიფიციური კადრები. სპეციალისტები კონკურსის წესით შევარჩიეთ. ასევე კონკურსით დავნიშნეთ სპეციალისტები მუნიციპალიტეტებში გახსნილ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებში.

აგროსერვისცენტრის ძირითადი მისიაა რეგიონის აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა. დარგების განვითარებისათვის ძლიერი სამეურნეო ბაზის შექმნა. მემცენარეობა, მეცხოველეობა და ფერმერთა სწავლება-კონსულტაცია, - აი, ჩვენი აგროსერვისცენტრის საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულება. ამ ეტაპზე ჩვენს მუშაობას სადემონსტრაციო-პრაქტიკული და საწარმოო ხასიათიც აქვს. ამიტომაც ვაშენებთ სანერგეებს, ვაწყობთ სათბურებს. უკვე 11 ჰექტარზე ჩაქვში და გვარაშიც გვაქვს გაშენებული რამდენიმე ათეული ჯიშის ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის ციტრუსოვანთა, ვაზის და სხვა ხეხილის ახალი, ჯიშობრივად გაუმჯობესებული და უფრო მაღალმოსავლიანი ნერგები. მცხეთის მუნიციპალიტეტის ჯიღაურის ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალების ეროვნულმა ცენტრმა საჩუქრად მოგვცა ვაშლის, მსხლის, ბლის, ატმის, ვაზის სხვადასხვა ჯიშის 4 ათასი ნამყენი და 2 ათასზე მეტი მწარე საძირე. ეს იქნება ფაქტობრივად სადედე ბაღები, რომლიდან აღებული კვირტით გავამრავლებთ ხეხილს და თვითღირებულების ფასად მივაწვდით ფერმერულ მეურნეობებს.

ჩვენმა მეცხოველეობის განყოფილებამ, რეგიონში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის გაზრდისათვის დაიწყო პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის აღდგენა. ვიყენებთ ადგილობრივი პირუტყვის შესაბამის უცხოური ჯიშიანი პირუტყვის ბიომასალას (სპერმას). ასეთი შეჯვარებით უკვე მიღებულია პირველი თაობის ხბოები.

ფერმერთა სწავლება-კონსულტირება აგროსერვისცენტრის მესამე უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ფერმერები ბოლოს და ბოლოს უნდა შევაიარაღოთ ახალი ცოდნით, ახალი ტექნოლოგიებით. გავაცნოთ სხვათა მოწინავე გამოცდილება მემცენარეობაში, მეცხოველეობაში. პრაქტიკულად ვაჩვენოთ ყველაფერი ეს ჩვენს მეურნეობაში, დავეხმაროთ უკეთესის გამორჩევაში და საკუთარი მეურნეობის გაშენებაში. დღემდე ასობით ფერმერი გადავამზადეთ და ამ მუშაობას კიდევ უფრო გავააქტიურებთ.

ცხადია, დიდი გეგმებიც გვაქვს. ჩვენი მიზანია კიდევ უფრო გავიზარდოთ, გავძლიერდეთ და მთავარი როლი შევასრულოთ აჭარის აგროსექტორის განვითარებაში. ასეთია რეგიონის ხელისუფლების დავალება.

საკუთარი თავის გარდა დიდი იმედი გვაქვს გაეროს და ევროკავშირის მხრიდან ხელშეწყობისა და თანამშრომლობისა, რაც რეგიონში რამდენიმე წლის წინათ დაიწყო და გრძელდება. ახლახან მათ წარმომადგენლებთან ინიტა პაულიჩთან, რაიმონ რეიგადასთან, ხუან ხოსე ეჩანოვთან, გიორგი ნანობაშვილთან და ლაშა კომახიძესთან ერთად, 3,3 მილიონი ევროს ბიუჯეტიანი აგროპროექტის განხორციელების საკითხი განვიხილეთ. რეალური ვითარებიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ ამ პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის ყველა შესაძლებლობა გვაქვს. გამოყოფილი თანხები კონკრეტულად სანერგეების, სათბურების მოწყობა-გაფართოებაზე, პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების ქსელის შექმნაზე, ხილის გადასამუშავებელი საამქროს ამოქმედებაზე, ახალი ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვაზე, საკუთრივ სამინისტროს ინსტიტუციონალურ განვითარებაზე და ფერმერთა სწავლება-კონსულტირებაზე დაიხარჯება. ცხადია, გაიზრდება კოლექტივი, შეგვემატება სპეციალისტები, ტექნიკა და ა. შ.

ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სოფლად ფერმერული მეურნეობების ფორმირებისა და მათი გაერთიანებების (კოოპერატივების) შექმნის ხელშეწყობა. როგორც აღვნიშნე, ფერმერებს მეურნეობების შექმნაში პრაქტიკულადაც დავეხმარებით.

ჩვენ ასევე ვთავაზობთ აგრარული სფეროს მეცნიერებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და საწავლო დაწესებულებებს, განსაკუთრებით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტს, ითანამშრომლონ ჩვენთან, გამოიყენონ ჩვენი მეურნეობა სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ბაზად. საზღვარგარეთ ასეთი ბაზა სწორედ მსგავს სტრუქტურებს აქვთ და აგროსერვისცენტრი იყენებს მათ საინფორმაციო-საკონსულტაციო მუშაობასა და ფერმერთა გადამზადებაში. ასეა, მაგალითად, ლიტვაში, სადაც აგროსერვისცენტრი დღეისათვის ფერმერულ მეურნეობებში მხოლოდ საბუღალტრო-საფინანსო მუშაობით შემოიფარგლება და აქედან შემოსული თანხებით, 80 პროცენტით თვითდაფინანსებაზეა. დროთა განმავლობაში ჩვენი აგროსერვისცენტრიც ალბათ ამგვარ მუშაობაზე გადავა. ეს როცა ფერმერული მეურნეობები გაძლიერდებიან, ეყოლებათ თავიანთი სპეციალისტები და აგროსექტორიც ძირითადად გაჯერებული იქნება ახალი, უკეთესი ჯიშის ხეხილით და პირუტყვ-ფრინველით.

ორი წლის წინათ, როცა აგროსერვისცენტრი დაარსდა, იქ 27-მდე კაცი მუშაობდა. დღეისათვის თანამშრომელთა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა. ახლო პერსპექტივაში სანერგეების ფართობები 11-დან 22 ჰექტარამდე გაიზრდება, გაიზრდება პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პუნქტების ქსელიც, შედეგად გაორმაგდება თანამშრომელთა რაოდენობაც. წარმატებებიც, ცხადია, იმატებს.

სასიამოვნოს, რომ ჩვენი აგროსერვისცენტრის საქმიანობა დაარსების ორი წლის თავზე დადებითად ფასდება. ზოგი მიმართულებით იწონებენ კიდეც. ზემოთ აღნიშნული პროექტის განხორციელებით კიდევ უფრო მეტს მოელიან ჩვენგან. ვეცდებით, გავამართლოთ ეს ნდობა.



# ჩვენი მხარდაჭერა აჭარის აგროსექტორის განვითარებისათვის მძლავრი ფაქტორი იქნება

გაეროს და ევროკავშირის მისიები 2008 წლიდან აქტიურად მუშაობს აჭარაში ეკონომიკის განვითარების ხელშესაწყობად. ვთანამშრომლობთ მთავრობასთან, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ეს ამ სფეროს პრიორიტეტად გამოცხადებამ და რეალური ნაბიჯების გადადგმამ განაპირობა. 2011 წლიდან რამდენიმე პროექტის განხორციელებაში მივიღეთ მონაწილეობა. მაგალითად, აგროსერვისცენტრს დავეხმარეთ სანერგეების მოწყობაში და შევუძინეთ მოწყობილობა ხილის გადამამუშავებელი საწარმოსათვის, რომელიც სადემონსტრაციო ობიექტი უნდა გახდეს ფერმერებისათვის. ეს 3,3 მილიონი ევროს ბიუჯეტიანი პროექტი პირველი, მასშტაბური პროექტია აჭარის აგროსექტორის სინამდვილეში. იგი ფაქტობრივად ახალი, უფრო ქმედითი ეტაპის დასაწყისია თავად აგროსექტორის საქმიანობაში და წონადი შედეგებიც უნდა მოიტანოს, ვიმედოვნებთ, ასეც იქნება. ამის საფუძველს არსებული საიმედო ვითარება და შესაძლებლობები გვაძლევს.

უპირველესი ფაქტორი თავად აგროსერვისცენტრის არსებობაა. ორი წლის წინათ აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მისი შექმნა, სწორი და მიზანმიმართული, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. სწორედ აგროსერვისცენტრის ბაზაზე უნდა განხორციელდეს ნებისმიერი აგროპროექტი და შედეგები დაინერგოს ფერმერულ მეურნეობებში.

ასეა ამ პროექტის შემთხვევაშიც. გამოყოფილი თანხა ძირითადად მისი ეგიდით, მემცენარეობის, მეცხოველეობის განვითარებას და ფერმერთა სწავლებას უნდა მოხმარდეს. ნაწილი თანხისა კი სამინისტროს ინსტიტუციონალურ განვითარებას მოხმარდება. შედეგად აგროსერვისცენტრმა უნდა გააფართოოს ციტრუსოვნების, ვაზისა და სხვა ხეხილის სანერგეები. ეფექტურად დაეხმარონ მოსახლეობას, განსაკუთრებით მეცხოველე ფერმერებს პირუტყვ-ფრინველის სანაშენე საქმის მოწყობაში. კერძოდ, ხელოვნური განაყოფიერების გზით მოახდინონ რეგიონში არსებული მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება.

მოკლედ, აგროსერვისცენტრი უნდა გახდეს ბაზა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური, ახალი, ჯიშობრივად გაუმჯობესებული ხეხილის ნერგების და პირუტყვის წარმოებისა, გამოცდისა და გავრცელებისა. საკოლექციო-სადემონსტრაციო სანერგეების საშუალებით ფერმერები აზიარონ ახალ ცოდნას, ტექნოლოგიებს. პრაქტიკულად აჩვენონ რომელი კულტურაა უფრო მისაღები რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. როგორ ჩაატარონ აგროტექნიკური სამუშაოები. რა სასუქები და პესტიციდები გამოიყენონ, როდის და როგორ. ხელი შეუწყონ სოფლად ფერმერული მეურნეობების ფორმირებას და მათი გაერთიანებების (კოოპერატივების) შექმნას და ა. შ. კიდევ ერთი მთავარი მიმართულებაა გადასამუშავებელი საამქროების სარეკლამო მოდელების შექმნა და პოპულარიზაცია. ამის პრეცედენტი, ხილის საშრომი მოწყობილობა და ტექნოლოგია აგროსერვისცენტრში უკვე აქვთ.

ასე რომ, აგროსერვისცენტრის შექმნა გამართლებულია, წარმატებულია და ამან გადააწყვეტინა გაეროს და ევროკავშირის წარმომადგენლებს ზემოთ აღნიშნული, საკმაოდ ძვირადღირებული და მნიშვნელოვანი აგროპროექტი შემოგვეტანა აჭარის აგროსექტორში.

ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაციები, მსგავს გადაწყვეტილებებს ჰაიჰარად როდი იღებენ. მათი ნაბიჯი ამ შემთხვევაშიც მკაცრ ლოგიკურობას ემყარება. პროექტს პრაქტიკულად უკვე მწვანე შუქი აქვს ანთებული. აჭარის მთავრობასთან უკვე მოეწერა ხელი შესაბამის თანამშრომლობის ხელშეკრულებას. მალე პროექტს უშუალოდ აგროსერვისცენტრის ხელმძღვანელობასთანაც მოეწერება ხელი. ახლა ჯერი ამ უკანასკნელის მუშაობაზეა. ჩვენ, ცხადია, სათანადოდ გავაკონტროლებთ პროექტის განხორციელების მიმდინარეობას. ამჯერადაც გვაქვს იმედი, რომ გაეროსა და ევროკავშირის ეს მხარდაჭერა, მაღალეფექტიანი იქნება აჭარის აგროსექტორისათვის, რაც შემდგომი თანამშრომლობის საფუძველი გახდება.

ლაშა კომახიძე,
გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მენეჯერი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

# უმნიშვნელოვანესი აგროსტრუქტურა



90-იან წლებში ცნობილი პოლიტიკური ცვლილების და ამის შედეგად სოციალ-ეკონომიკური გართულებების გამო, აგროსექტორშიც მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. დაინგრა არსებული, სანაცვლოდ კი თითქმის არაფერი გაკეთებულა. განსაკუთრებით დაზარალდა ძირითადი სფეროები -მემცენარეობა და მეცხოველეობა. ცალკეული დარგების მიხედვით გენოფონდის დაკარგვის საშიშროებაც კი წარმოიქმნა. წლების განმავლობაში შეუძლებელი შეიქმნა არათუ რეაბილიტაცია, არამედ რაიმე ახლის წამოწყება და განხორციელებაც კი.

რაკი შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები სოფლად ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, ბიზნესიც იშვიათად ინტერესდება აგროსექტორით, არც მოსახლეობას შესწევს ძალა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის და არც რაიმე სახელმწიფო სტრუქტურა არსებობს ამისათვის, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში აგროსერვისცენტრის შექმნა დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით. ფაქტობრივად მას დაეკისრა არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის მონახვა. კონკრეტულად, პრობლემების როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ დონეზე გადაწყვეტა. ეს იმ ფონზე, როცა სახელმწიფო აგროსაწარმოები არ არსებობს, მეცნიერებათა აკადემია და სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები ძლივს და უსისტემოდ ფუნქციონირებენ. არ არსებობს სანერგეები და ჯიშთა გამოცდის სადგურები და ა. შ.

ამიტომ აგროსერვისცენტრმა უნდა გასცეს პასუხი, რა უნდა გავაკეთოთ, რატომ და როგორ. სასიამოვნოა, რომ აგროსერვისცენტრმა თამამად იტვირთა ამ პრობლემების გადაწყვეტა, ჩაუდგა სათავეში და განვლილი ორი წლის მანძილზე თამამი ნაბიჯებიც გადადგა ამ მიზნის მიღწევის გზაზე. პრაქტიკულად მთელი აგროსექტორი, ყველა დარგი შედის მისი საქმიანობის სფეროში. იქ თავი მოუყარეს კვალიფიციურ სპეციალისტებს. შექმნილია შესაბამისი სტრატეგია, პროგრამები, სამუშაო გეგმები. აქ ძიების, ანალიზის და გადაწყვეტის გზით მიდიან. თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთელ მეცნიერებთან და პრაქტიკოსებთან, ფერმერებთან, ბიზნესმენებთან.

მართალია, ეს ორგანიზაცია ფაქტობრივად დამკვიდრების პროცესშია, მაგრამ უკვე ბევრის გაკეთება შეძლო ყველა მიმართულებით. პერსპექტივაც საიმედოა. მას უნარიანად ხელმძღვანელობს ახალგაზრდა სპეციალისტი გოჩა ბერიძე. როგორც ჩანს ამ კოლექტივს, სამინისტროს ხელმძღვანელობით შესწევს უნარი გახდეს რეგიონის აგროსექტორის განვითარების ბაზა, მძლავრი დასაყრდენი. ამაში მათ ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი 3,3 მილიონი ევროს მოცულობის აგროპროექტის განხორციელებაც დაეხმარებათ.

ასე რომ, გზას ვულოცავთ აგროსერვისცენტრს და ვუსურვებთ წარმატებებს მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმიანობაში.

ზურაბ მიქელაძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

# რას ვპირდებით ფერმერებს

**აგროსერვისცენტრის მემცენარეობის განყოფილება ფერმერებისათვის ხეხილის ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანა-გამრავლებაზე და მიწოდებაზეა ორიენტირებული. ამ მიზნით ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა ციტრუსოვნების, ხეხილოვნებისა და ვაზის სადედე საკოლექციო და სადემონსტრაციო სანერგეები, რომლებიც მიზნად ისახავს, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური მაღალმოსავლიანი საადრეო და სხვადასხვა დროს მწიფებადი ნერგების გამოყვანასა და მოსახლეობისათვის თვითღირებულების ფასად მიყიდვას**



ჩვენს სისტემაში მაღალკვალიფიციური აგრარიკოს-პრაქტიკოსები მუშაობენ, რომელთა შრომის შედეგი სახეზეა. კერძოდ, განვლილ ორ წელიწადში შეიქმნა სადედე - საკოლექციო ნარგაობათა ბაზა და მიმდინარეობს სათბურებისა და სხვა კომუნიკაციების მშენებლობა, რათა ნერგების წარმოებას ინტენსიური და სისტემური სახე მიეცეს.

დაბა ჩაქვში ციტრუსოვნების სადედე-საკოლექციო და სადემონსტრაციო სანერგეში გადაადგილებული და გახარებულია ჩინეთიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან, იაპონიიდან შემოტანილი და ქართველი მეცნიერების მიერ გამოყვანილი მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ისეთი ჯიშები როგორიცაა ოკიცუ ვასე, მიხო ვასე, საცუმა ნაველა, გრეიფუტი რიორედი (პომელო), კუტლიკენი, ინტერდონატო და სხვა. სულ 25 ჯიშზე მეტი. ამჟამად მათზე მიმდინარეობს დაკვირვება და კვლევა, რომლის საფუძველზე ჩვენი რეგიონისათვის ყველაზე მისაღებ ჯიშებსა და ფორმებს მივცემთ უპირატესობას, გავამრავლებთ და მივაწოდებთ მოსახლეობას. რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ მათ გამოცდილებასაც და სურვილებსაც.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ტერიტორიაზე ჯერჯერობით 3 ჰექტარ ფართობზე სხვა ხეხილოვნებისა და ვაზის სადედე - საკოლექციო და სადემონსტრაციო სანერგეც გვაქვს. წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯილაურის ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალებისეროვნული ცენტრიდან შემოვიტანეთ (საჩუქრის სახით) 4 ათას ძირამდე როგორც სამამულო, ისე უცხოური ვაშლის, მსხლის, ბლის, ატმისა და სხვა ხეხილის, ასევე ვაზის 25 ჯიშის ნამყენები. ასევე პერსპექტიული ჯიშების ადგილზე გამოსაყვანად და გასამრავლებლად მივიღეთ და გავახარეთ 2500 ძირამდე მწარე საძირეებიც. ეს ჯიშები მესამე წელს შედის მსხმოიარობაში, უხვმოსავლიანია და ვარჯის დაბალი ზომით გამოირჩევა. ორი-სამი წლის შემდეგ, სადედე ნერგებიდან უკვე შეიძლება სანამყენე კვირტების აღება. აღნიშნულ სანერგეში გვაქვს ვაზის როგორც სასუფრე ისე სადვინე ჯიშები.

სასუფრე, ჯიშებიდან აღსანიშნავია კარდინალი, კრიმსონ სიდლეხი, დონ გარიანო, ალფონსო ლავალი, პრიმა, იტალია, დათიერი, ალედო, საბას მარგალიტი, ქართული საადრეო, სულთანინი და სხვა. სადვინე ჯიშებიდან გვაქვს ჩხავერი, ცოლიკაური, ბათუმურა, ტაგიძურა, კლარჯული, ქაქუთურა, ციცქა, კრახუნა, ოჯალეში, ალექსანდროული, უსახელოური და სხვა. თესლოვანებიდან გვაქვს მსხლის ისეთი ჯიშები, როგორიცაა კონფერენსიე, აბატი. ვაშლის ჯიშებიდან გოლდენ რაში, შამპანური რენეტი, ფლორინა, ფუჯი კიკუ, რუბინილა, გალა შნიკა, ფორლეიდი, რეტკანი, ტოპარი, კანდიტ სინაპე, სამერლენდი და სხვა. გვაქვს ასევე კურკოვნების - ბლის, ატმის, ქლიავის, ნუშის, ხურმის, ზეთის ხილის, ტყემლისა და სხვა ხეხილოვნების ნერგები. სანერგეებში მოვაწყობთ თანამედროვე სათბურებს. მოვაწესრიგებთ ინფრასტრუქტურას. წარმოება აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით.

მემცენარეობის ხაზით სამომავლო გეგმები კიდევ უფრო დიდი და შორეულ პერსპექტივაზეა გათვალისწინებული. ვგულისხმობ სანერგეების გაფართოებას და მისი კოლექციის კიდევ უფრო გამრავლებას, ფერმერთა და სტუდენტთა სწავლებას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და ა.შ. ეს ყველაფერი უშუალოდ დადებითად აისახება რეგიონის სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე და ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ მეციტრუსეობის, მევენახეობისა და მეხილეობის სხვა დარგების განვითარებაში.

**ნუგზარ ოძროპიძე,**
**ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრის» მემცენარეობის განყოფილების უფროსი**

# ჩვენი თანამშრომლობა გაღრმავდება

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრის» და ჩვენი ა(ა)იპ «აგროს», ანუ მცხეთის მუნიციპალიტეტის ჯილაურის ხეხილის სარგავი მასალების ეროვნული ცენტრის თანამშრომლობას საფუძველი ახლახან, 2012 წლის შემოდგომაზე ჩაეყარა. აგროსერვისცენტრს საჩუქრად გადავეცით 25 ჯიშის ვაზის სადვინე და სასუფრე 2600 ძირამდე ნამყენი. ასევე ხეხილის (ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, ქლიავი, ტყემალი, ბროწეული და ა.შ.) 1300 ძირი ნერგი. 2050 ძირი ხეხილის მწარე საძირე და ვაზისა 450 ძირი. ერთმანეთს ვუცვლით გამოცდილებას როგორც მეცნიერულ, ასევე პრაქტიკულ დონეზე. ეს თანამშრომლობა გაგრძელდება, რადგან ერთი და იგივე მისია გვაკისრია. ესაა წონადი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის აგროსექტორის განვითარებაში. მოვიძიოთ ენდემური ხეხილისა და ვაზის ჯიშები, გავამრავლოთ და მივაწოდოთ მოსახლეობას.

ასევე უზრუნველვყოთ ახალი უცხოური ხეხილის ჯიშების შემოტანა და დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ამასთან ერთად დავნერგოთ ახალი ტექნოლოგიები და მოვახდინოთ მისი პოპულარიზაცია. ამავე მიზანს ისახავს აჭარის აგროსერვისცენტრიც.

გავეცანით აგროსერვისცენტრის საქმიანობას, დავათვალიერეთ სანერგეები, ხილის გადამამუშავებელი სადემონსტრაციო საამქრო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ წელიწადში საკმაოდ წარმატებით უშრომიათ. კარგი შედეგები აქვთ ყველა მიმართულებით, მემცენარეობაში, მეცხოველეობაში და ფერმერთა სწავლება-კონსულტირებაში.

აგროსერვისცენტრს შესწევს ძალა რეგიონის აგროსექტორის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანოს. გახდეს დასაყრდენი ბაზა ქართული სოფლის აღმშენებლობაში.

ვულოცავთ წარმატებებს, დაარსების ორ წლისთავს და ვუსურვებთ წინსვლას დასახული მიზნის მიღწევის გზაზე.

**ლევან უჯმაჯურიძე,**
**მცხეთის მუნიციპალიტეტის ჯილაურის ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალების ეროვნული ცენტრის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი**

# მიზანი მეცხოველეობის თვისობრივად განახლებაა

აგროსერვისცენტრის მეცხოველეობის განყოფილება, მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით, ფერმერებს ძროხების ხელოვნურ განაყოფიერებას სთავაზობს. ვიყენებთ ადგილობრივი პირუტყვის შესაბამის უცხოური ჯიშიანი პირუტყვის ბიომასალას (სპერმას), ამგვარი სანაშენე მუშაობა არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია ცხოველის მემკვიდრული თვისებების სასურველი მიმართულებით შეცვლისაკენ. ამისთვის საჭიროა ფურების გადარჩევა, შესაწყვილებელი ინდივიდების შერჩევა და მოვლა-პატრონობის კარგი ორგანიზაცია. ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი ორი, რადგან პროდუქტიულობას 80 პროცენტით განსაზღვრავს, გენოტიპი კი 20-25 პროცენტით.



ხელოვნური განაყოფიერება პირუტყვის ჯიშობრივად გაუმჯობესების უსწრაფესი ხერხია, ბერწიანობასთან და ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის კარგი საშუალებაა. ეფექტი, ცხადია, რამდენიმე წლის შემდეგ მიიღება, როცა ჯიშიანი პირუტყვის ახალი თაობა იწყებს პროდუქციის მოცემას.

საბჭოური ცხოვრების წესიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ საკმაოდ განვითარებული ეს სისტემა გაუქმდა და ბაზაც დაინგრა. ჯიშიანი პირუტყვი მოსახლეობაში განკერძოვდა, რომელმაც ვერ შეინარჩუნა იგი.

დღეისათვის აგროსერვისცენტრმა დაიწყო ამ ყველაფრის აღდგენა და ვფიქრობთ, მიზანს მივაღწევთ. ჩვენს განყოფილებას აქვს პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სამი სადგური ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში. შემოტანილია ჯიშიანი ბუღა-მწარმოებლების ბიომასალა (სპერმა), როგორიცაა შვიცის მერძეული, ჯერსის მერძეულ-მეხორცული და აბერდინ-ანგუსური ჯიშის პირუტყვი. მალე ამგვარ სადგურებს გავხსნით აჭარის მთის მუნიციპალიტეტებშიც. სამს ხულოში და ორს შუახევში. დამატებით დასაქმდება 16 სპეციალისტი.

2012 წლის აპრილიდან დღემდე სატელეფონო კონსულტაცია გავუწიეთ 633 მეცხოველე ფერმერს, 378-ჯერ გავედით ადგილებზე და 230 შემთხვევაში ჩავატარეთ პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება. მიღებულია ახალი თაობის 100-მდე ხბო, ვინც გაითავისა ამგვარი სანაშენე მუშაობის სიკეთე და სარგებლობს მისით, კმაყოფილიცაა, მაგრამ ამას უნდა მიეცეს მასობრივი ხასიათი. ცხადია, შემუშავებული გვაქვს სანაშენე მუშაობის შესაბამისი გეგმა და შესაძლებლობებიც გაგვაჩნია მის განსახორციელებლად, თუ ფერმერებიც სათანადოდ ითანამშრომლებენ ჩვენთან, ვფიქრობ, 5-10 წელიწადში შევძლებთ ჯიშობრივად გავაუმჯობესოთ დღეს საკმაოდ დაკნინებული ადგილობრივი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გავზარდოთ მისი პროდუქტიულობა. ამით მოიგებს ხალხიც და სახელმწიფოც.

**ბიორბი შერვაშიძე,**
**ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის მეცხოველეობის განყოფილების უფროსი**

# «აგროსერვისცენტრი» - სწორი და საჭირო გადაწყვეტა ჩვენს სინამდვილეში

დაკნინებული ქართული სოფლის აღდგენა და დანგრეული სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღშენება უდიდეს ძალისხმევას საჭიროებს. ეს სახელმწიფომ და ხალხმა ერთობლივად უნდა იტვირთოს. სახელმწიფოს, როგორც ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ჩარევა აგროსექტორის განვითარებაში, გარდამავალ ეტაპზე აუცილებელია. ეს ბოლო წლებში ნათლად დადასტურდა. ამიტომაც გამოცხადდა ეს სფერო პრიორიტეტულად და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. აგროსერვისცენტრის შექმნა ჩვენს სინამდვილეში ამ ღონისძიებათა ნაწილია. ჯერჯერობით ის ქვეყანაში ერთადერთია და ეს უფრო დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან მისი წარმატება ნიმუშად უნდა გამოდგეს სხვა რეგიონებისათვის. სანამ შეიქმნება სათანადო პირობები და ინვესტორები და ბიზნესი დაინტერესდებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებით, სანამ ჩვენი სულიან-ხორციანად გაღარიბებული სოფლის მოსახლეობა სულს მოითქვამს და ფერმერული მეურნეობების შექმნა-განვითარების შესაძლებლობა მიეცემა.

სწორედ აქ უნდა თქვას წონადი სიტყვა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვისცენტრმა როგორც მეცნიერულ-საინფორმაციო-საკონსულტაციო, ასევე სამეურნეო-პრაქტიკული მიმართულებით. ამგვარი მუშაობით მან ხელი უნდა შეუწყოს ფერმერული მეურნეობების და მათი გაერთიანებების ჩამოყალიბებას და განვითარებას. პრაქტიკულად ანახოს და მიაწოდოს მათ ახალი ჯიშები მემცენარეობაში. დაეხმაროს პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებაში. თავისი წვლილი შეიტანოს გადამამუშავებელი მრეწველობის ამოქმედებაში. რა თქმა უნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ფერმერთა სწავლება-გადამზადება, რაც სწორედ აგროსერვისცენტრის ბაზაზე უნდა განხორციელდეს.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ანგარიშგასაწევი სახელმწიფო აგროსტრუქტურაა ქვეყნის მასშტაბით. აგროსერვისცენტრის შექმნაც მნიშვნელოვანი ნოვაციაა მის სინამდვილეში. იგი პირველ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ ორი წლის თავზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი საქმიანობა გამართლებული და წარმატებულია.

აქ მოხერხდა კარგი შრომითი კოლექტივის შექმნა. თავი მოიყარეს უფროსი თაობის და ახალგაზრდა კვალიფიციურმა სპეციალისტებმა. გააშენეს ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის სხვადასხვა ჯიშის ხეხილის შესანიშნავი სანერგეები. დაიწყეს მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის აღდგენა. ფერმერებმა უკვე მიიღეს ჯიშობრივად გაუმჯობესებული ხბოების პირველი თაობა. შექმნილია ფერმერთა სწავლება-კონსულტაციის მწყობრი სისტემა.

როგორც ცნობილია, ახლა აგროსერვისცენტრის ბაზაზე დაიწყო გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივი აგროპროექტის განხორციელება. პროექტი სამწლიანია, მისი ბიუჯეტი 3,3 მილიონი ევროა, რომელიც მემცენარეობის და მეცხოველეობის განვითარებას და ფერმერთა გადამზადებას უნდა მოხმარდეს.

დიახ, აგროსერვისცენტრის შექმნა გამართლებული ნაბიჯია, პირველი ნაბიჯებიც წარმატებულია და მომავალშიც მისგან მეტს ელიან. ასეთია საერთო აზრი. ის უნდა გახდეს აჭარის აგროსექტორის განვითარების მთავარი ბაზა - სამეცნიერო-საინფორმაციო-საკონსულტაციო და სამეურნეო-პრაქტიკული ცენტრი.

ვულოცავთ კოლექტივს დაარსების ორი წლისთავს, წარმატებებს და დასახული მიზნის მიღწევას ვუსურვებთ უმოკლეს დროში.

**ანზორ თხილაიშვილი,**
**აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე**

# სამი მილიონი ევრო - აჭარის აგროსექტორისათვის

**ევროკავშირის დაფინანსებით, გაერო საქართველოში, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით 40 მილიონი ევროს ბიუჯეტიან პროექტს ახორციელებს, რომელშიც აჭარა საკმაოდ მასშტაბურადაა წარმოდგენილი. კონკრეტულად ესაა ტექნიკური დახმარების სამწლიანი პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 3,3 მილიონი ევროა. მასში აჭარის მთავრობა 300 ათასი ევროს თანადაფინანსებით მონაწილეობს**

ამას წინათ პროექტის ხელმოწერასთან დაკავშირებით, აჭარაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები დავით ნატროშვილი, დავით გილიგაშვილი, საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ინიტა პაულიჩი და ევროკავშირის წარმომადგენლები რაიმონ რეიგადა, ხუან ხოსე ეჩენოვი და გიორგი გილიგაშვილი ჩამოვიდნენ. პროექტის წარდგინება აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა.

მინისტრი ზაურ ფუტკარაძე კოლექტივის სახელით მიესალმა სტუმრებს, მოკლედ გააცნო რეგიონის აგროსექტორში არსებული ვითარება, სამინისტროს და აგროსერვისცენტრის საქმიანობა, სამომავლო გეგმები და უფრო აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ხაზი გაუსვა, რომ ამ ერთობლივი აგროპროექტის განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს აჭარის აგროსექტორის განვითარებას, ქვეყნის აგრარული პოლიტიკის განხორციელებას რეგიონში.

სტუმრებმა აღნიშნეს, რომ აჭარის აგროსექტორში არსებული ვითარება იმის საფუძველს იძლევა, რომ 3,3 მილიონი ევროს ღირებულების აგროპროექტი, აგროსერვისცენტრის მეშვეობით განხორციელდეს. ეს თანხა სამინისტროს ინსტიტუციონალურ განვითარებას, მემცენარეობას, მეცხოველეობას, სანერგე მეურნეობების გაფართოებას, ფერმერული მეურნეობების გაერთიანებების (კოოპერატივების) ჩამოყალიბების ხელშეწყობას და ფერმერთა სწავლება-კონსულტირებას მოხმარდება.

იმავე დღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ და გაეროსა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ხელშეკრულებას. შემდეგ სტუმრები აგროსერვისცენტრს ესტუმრნენ, გაეცნენ მის მუშაობას, უახლოეს გეგმებს, დაათვალიერეს სანერგეები. განმარტებებს იძლეოდა აგროსერვისცენტრის დირექტორი გოჩა ბერიძე. მისი თქმით, რამდენიმე წელიწადში აგროსერვისცენტრი რეგიონში მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარების მძლავრი ბაზა უნდა გახდეს, ახალ ცოდნას და გამოცდილებას აზიარონ ფერმერები. აჭარის აგროსერვისცენტრი ერთადერთი პრეცედენტია ქვეყანაში და იგი მაგალითად უნდა გამოდგეს სხვა რეგიონებისათვის. ასეთია მისი კოლექტივის მთავარი ამოცანა.



სტუმრებმა ხაზი გაუსვეს, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. აგროსერვისცენტრის წარმატებული მუშაობა ქმნის იმის საფუძველს, რომ შემოთავაზებული პროექტიც წარმატებით განხორციელდება.

ამით შესაძლებელი გახდება 2017 წლისთვის ახალი პროექტი შემოიტანონ.

ასე რომ, ამ პროექტით, ახალი ეტაპი იწყება აგროსერვისცენტრის საქმიანობაში და უეჭველია, წარმატებებიც უფრო თვალსაჩინო იქნება.

*თანამშრომლობა*

# სომეხ აგრარიკოსთა სტუმრობა აჭარაში

**ბათუმში სამ დღეს იმყოფებოდა სომეხ აგრარიკოსთა დელეგაცია კომპანია «კარდის» დირექტორის გაგიკ სარდეიანის ხელმძღვანელობით. ესაა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების გზით, ჯოგის ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე მუშაობს. აქვს რძის გადამამუშავებელი საამქროები და ტექნიკური საშუალებები. ასევე ეწევა ფერმერთა ფართომასშტაბიან სწავლება-კონსულტირებას**

სტუმრები მიიღო აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაურ ფუტკარაძემ. ისაუბრეს სომხეთის რესპუბლიკასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობაზე, აგროსექტორის განვითარებზე, მეცხოველეობისა და დარგის მექანიზაციის პერსპექტივებზე.

შემდეგ დელეგაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა) იპ აგროსერვისცენტრს ესტუმრა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ითქვა, რომ სომხური აგროკომპანია «კარდი» ფართოდ თანამშრომლობს გაეროსთან. სწორედ გაეროს მეშვეობით გაიგეს აჭარის აგროსერვისცენტრის საქმიანობის შესახებ და სურვილი აქვთ ითანამშრომლონ მასთან, რამეთუ ორივეს მისია ანალოგიურია. ესაა, ხელი შეუწყონ აგროსექტორის განვითარებას.

სტუმრებს განმარტებებს აძლევდა აგროსერვისცენტრის დირექტორი გოჩა ბერიძე. გაიმართა აზრთა და გამოცდილებათა გაზიარება.

დასასრულს ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს. კომპანია «კარდის» წარმომადგენლები ეწვივნენ აჭარის სავაჭრო სამრეწველო პალატას. დაათვალიერეს რეგიონში მოქმედი მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის სასაკლაო მეურნეობები, რძის გადამამუშავებელი საწარმოები, აგროსერვისცენტრის სანერგე მეურნეობები. ისინი კმაყოფილი დარჩნენ ვიზიტის შედეგებით და მასპინძლები საპასუხო ვიზიტით მიიწვიეს.



## ხუმრობით და... სერიოზულად

# «მადა ჭამაში მოდისო»...

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიით, აგროსერვისცენტრის საქმიანობის ეფექტურობის გასაზრდელად, მისი გაფართოება და მომსახურების გამრავალფეროვნება აუცილებელია. ამ მიზნით, სასურველია, გამგებლობაში გადაეცეს აჭარაში მოქმედი ის აგროსაწარმოები, რომლებიც დღეს რეგიონის აგროსექტორის სუბიექტები არ არიან.

«მადა ჭამაში მოდისო» და პირველი წარმატებული ნაბიჯებით სტიმულმიცემულმა აგროსერვისცენტრის კოლექტივმა კმაყოფილებით აღიქვა ეს პერსპექტივა.

როგორც ცნობილი გახდა, დღის წესრიგშია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს «ქართული ბოსტნეულის» ჩაქვის ციტრუსების სანერგე მეურნეობის აჭარის ა(ა)იპ აგროსერვისცენტრისათვის გადმოცემა. შეუერთდეს ჩაქვშივე არსებულ მისივე ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობას. ეს მიზანშეწონილია იმითაც, რომ ორივე სანერგე მეურნეობა აჭარა-გურიის რეგიონებს უნდა მოემსახუროს.

ასევე მიზანშეწონილადა მიჩნეული აგროსერვისცენტრს გადმოეცეს საქართველოს სათბურების კომპანიის ახალსოფლის ბოსტნეულის ჩითილების სათბური, სადაც აჭარა-გურიის რეგიონებისათვის კოშტებში პომიდვრის, კიტრის, ბადრიჯნისა და ტკბილი წიწაკის 1,5 მილიონამდე ნერგი გამოჰყავთ. აგრეთვე ცეცხლაურის მოცვის სანერგე მეურნეობა და ა.შ.

ვერ გეტყვით, როგორ შეხვდებიან და მოეწონებათ თუ არა გურულებს აჭარელთა სამსახური და პატივისცემა, მაგრამ აგროსერვისცენტრის კოლექტივი ირწმუნება, რომ ისინი ინტერნაციონალისტები არიან, მით უმეტეს, კუთხურობით არ ანსხვავებენ არავის და თავს არ დაზოგავენ გურულების პატივსაცემად.

ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრის» სახელით
რევაზ მსხილაძე

# ლიტველთა გამოცდილება

**აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფი, აგროსერვისცენტრის დირექტორის გოჩა ბერიძის ხელმძღვანელობით, ლიტვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვისცენტრის დაარსების 20 წლისთავთან და საერთაშორისო კონფერენციასთან დაკავშირებით, ამ ქვეყანაში სტუმრად იმყოფებოდა. ისინი გაეცნენ მასპინძელი დაწესებულების სტრუქტურას, მუშაობის სპეციფიკას, პერსპექტივებს. შეხვდნენ ბევრ სტუმარს სხვა ქვეყნების ანალოგიური დაწესებულებებიდან, აგრარიკოს მეცნიერებს, სპეციალისტებს და პრაქტიკოსებს. ასე რომ, საკმაოდ მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ, რომელსაც მოკლედ გავუზიარებთ მკითხველს**

როგორც დელეგაციის წევრები ამბობენ, აგროსერვისცენტრები ბევრ ქვეყანაში ტრადიციული, გამოცდილი და აპრობირებული სტრუქტურაა და დიდი წვლილიც შეაქვთ აგრარული სექტორის განვითარებაში. მათ შორისაა ლიტვის აგროსერვისცენტრიც, რომელიც 20 წლის წინათ, სოციალისტურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთანავე დაარსდა. არსებობის მანძილზე მან რამდენიმე საფეხური გაიარა. თავიდან როგორც საინფორმაციო-საკონსულტაციო, ასევე სამეურნეო დანიშნულებაც ჰქონდა. მუშაობდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის, ასევე ფერმერთა სწავლება-კონსულტირების მიმართულებით. დღეს მას უმთავრესად საინფორმაციო-საკონსულტაციო ფუნქცია აქვს და ძირითადად მეცხოველეობის და მეთევზეობის მიმართულებით მუშაობს, რადგან ამ ქვეყანაში ეს დარგები ძირითადი და პრიორიტეტულია.

ამ მხრივაც განვითარების სხვა ეტაპზე არიან. კერძოდ, ფერმერებს ძირითადად საბუღალტრო-საფინანსო მომსახურებას უწევენ. საქმე ისაა, რომ ამ ხნის მანძილზე ლიტველი ფერმერები საკმაოდ გაიზარდნენ და გაძლიერდნენ. შეიქმნა დიდი ფერმერული მეურნეობები და მათი გაერთიანებები, რომელთაც უკვე საკუთარი სპეციალისტები ჰყავთ. ისინი ძირითადად საფინანსო სფეროს მოსაწესრიგებლად მიმართავენ აგროსერვისცენტრს. ზოგიერთი გაერთიანებულიც კია მასთან. ასე რომ, ეს დაწესებულება 80 პროცენტით თვითდაფინანსებაზეა.

ჩვენგან განსხვავებით ლიტვის აგროსერვისცენტრს თავისი სანერგეები და სხვა საწარმოო ბაზები არ გააჩნია. მაგრამ მათ ნაკლებობას არ განიცდიან. მუშაობენ სოფლის მეურნეობის აკადემიის, აგრარული უნივერსიტეტის და შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეურნეო ბაზებში. ატარებენ დაკვირვებას, კვლევა-ძიებას, ცდებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა მიმართულებით. მუშაობენ ახალგაზრდა სპეციალისტებთან, სტუდენტებთან. ეს თანამშრომლობა ძალიან უწყობს ხელს აგროსექტორის წინსვლას, ეფექტიანობის ზრდას. ეს სტრუქტურები თითქოს ერთ ორგანიზმს წარმოადგენენ. ცვლიან გამოცდილებას, კადრებსაც კი. ერთობლივად მუშაობენ აგრონომები, ვეტერინარები, მექანიზატორები, მეფუტკრეები და ა. შ.

აქაურ აგროსერვისცენტრს იმდენად დიდი ავტორიტეტი აქვს და პოპულარულია, რომ მისი რეკომენდაცია და დასკვნა «კარტ-ბლანშია» დამწყები თუ უკვე წელგამაგრებული ფერმერებისათვის ნებისმიერ სახელმწიფო თუ საკრედიტო ორგანიზაციასთან ურთიერთობაში ნებისმიერი პრობლემის გადასაწყვეტად. აგროსერვისცენტრის კოლექტივი ცდილობს საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობით რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღოს და მთლიანად თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ. ამ მიზნით მუშაობენ ბიზნეს-პროექტების შედგენაზეც, მაგრამ საკუთრივ ფერმერთა და ბიზნესმენთა უპირატესი მონაწილეობით. თუმცა გაეროს და ევროკავშირის დიდი დაფინანსებებიც აქვთ სხვადასხვა პროექტების და გრანტების სახით. დროთა განმავლობაში შესაძლოა, მათი მუშაობის სპეციფიკა შეიცვალოს, მაგრამ იმედოვნებენ, რომ ყოველთვის საჭირო იქნებიან. მათ დაიმკვიდრეს თავი და ახლა განვითარებაზე ფიქრობენ.

როგორც ვხედავთ, ჩვენ ლიტველთა გამოცდილებიდან ბევრი რამის გადმოღება შეგვიძლია, თუნდაც სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო დაწესებულებებთან და, რაც მთავარია, მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობის მხრივ. ფერმერთა საბუღალტრო-საფინანსო მომსახურების სფეროში და ა. შ.

აჭარის აგროსერვისცენტრი ახლა სწორედ თვითდამკვიდრების საწყის ეტაპზე იმყოფება, ყალიბდება და იზრდება, უკვე შეაქვს თავისი წვლილი რეგიონის აგროსექტორის განვითარებაში. ამას დღეს იგი აკეთებს საკუთარი მეურნეობრიობის - სანერგეების, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პუნქტების და ფერმერთა სწავლების საშუალებით. მაგრამ დროთა განმავლობაში ალბათ საქმიანობის ეს სტილი, ლიტველთა და სხვა ქვეყნების მსგავსად შეიცვლება. უპირატესობა საკონსულტაციო-საინფორმაციო, საბუღალტრო მომსახურებას, ბიზნეს-პროექტებზე მუშაობას მიეცემა.

ლიტველთა მსგავსად, სწორედ აგროსერვისცენტრმა, თავისი საქმიანობით უნდა აღადგინოს მოსახლეობის, ფერმერთა ნდობა. სწორედ აქ ნასწავლით და ნანახით უნდა ირწმუნონ ახალი ჯიშებისა და ტექნოლოგიების სიკეთე, გადაიღონ და წარმოებაში დანერგონ. აჭარის მრავალდარგოვანი მეურნეობრიობა, საერთაშორისო გამოცდილებასთან ერთად, აგროსერვისცენტრს სტიმულს აძლევს შემოქმედებითი მუშაობისათვის, რაც მის სამომავლო გეგმებშიც აისახება.

გუთნეული

რედაქტორი
რევაზ მსხილაძე

გაზეთზე მუშაობდნენ:
მერი ემირიძე, ნუგზარ ოძროკირიძე, ირაკლი ცეცხლაძე,
ავთანდილ ლომაძე, გურამ ტურაშვილი, ქეთევან ჩავლეიშვილი,
ლუიზა ლომაძე, ასმათ მორჩილაძე, მანანა თევდორაძე

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» რედაქციაში